

ON THE RELATIONSHIP OF THE SPEECH OF PONTIC GREEKS LIVING IN ADJARA TO THE PONTIC DIALECT

„აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების მიმართებისათვის
პონტოურ დიალექტთან“

Teona Abuladze

Doctor of Philological Sciences,
Assistant Professor of Batumi Shota Rustaveli State University,
Batumi, Rustaveli/NinoShvili st., 32/35, 6010, Georgia,
+995 595917363, teona.abuladze@bsu.edu.ge
<https://orcid.org/0009-0005-3622-1870>

Abstract. Lexis plays a crucial role in the study of linguistic features of various dialects. After all, the linguistic features typical of a specific dialect or region find their most tangible expression in lexis. It is also known that the lexical fund of a language undergoes more changes than its grammatical structure. Along with social and socio-geographical changes, the lexical fund also changes, directly reflecting these transformations.

It is urgent work to document and study the lexical units of specific territorial dialects since the passage of time and generational changes always leave certain traces on languages and dialects. This work becomes even more pressing when a particular dialect exists within a foreign linguistic environment and faces a significant risk of assimilation.

The object of our research is the Pontic vocabulary characteristic of the speech of Pontic Greeks living in Adjara, since the long time migrations of Greeks, their contacts with foreign languages, and cultural encounters leave certain marks on their way of life and language, which are reflected in their lexis.

Taking these circumstances into account, it is interesting to examine to what extent the speech of one region maintains the characteristics specific to its dialect, where changes emerge, and what forms these transformational changes take.

We are interested in the relationship between lexis with the aim of revealing how far the speech of the Greeks of the Black Sea coast of Adjara has diverged from their native dialect, specifically Pontic, and to what extent the passage of time influences lexis, which, in turn, provides an important foundation for determining whether the speech of a particular region forms or does not form a separate subdialect or variant.

For the classification of the material to be analyzed, we will identify several groups, specifically:

1. Authentic Pontic dialectal lexemes in the speech of Pontic Greeks in Adjara are being replaced by borrowings from foreign languages, such as γάι[sh] (qaish) - გაიში, [sh]αρβάλ (sharval) - შარვალი, among others.

2. Phonetic/phonological alterations are attested, such as - βρεσί (vresi) - βρε[sh]ήν (vreshin) - წვიმა.

3. "The vocabulary characteristic of the Pontic dialect itself is identical to that used in the speech of Pontic Greeks living in Adjara, as exemplified by the word εκικά (ekika) – meaning 'there' - იქ.

4. We shall separately examine the speech samples of Pontic Greeks living in Georgia, recorded years ago, alongside the paradigm of their present-day lexis, as a reflection of language changes over time."

5. "We present distinctive lexical units that have become characteristic of the Pontic Greeks of Adjara, such as 'chala semon' (ჩალოს ზემონი) and similar constructions."

Keywords: Pontic dialect; speech of Pontic Greeks; Pontic Greeks; Pontic dialect of Adjara; linguistics.

თეონა აბულაძე

ფილოლოგიის დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის

ასისტენტ პროფესორი,

ბათუმი, რუსთაველი/ნინოშვილის ქ. 32/35, 6010, საქართველო

+995 595917363, teona.abuladze@bsu.edu.ge,

<https://orcid.org/0009-0005-3622-1870>

აბსტრაქტი. ლექსიკას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ დიალექტის ენობრივი თავისებურებების შესწავლაში. კონკრეტული კილოსთვის, კუთხისთვის დამახასიათებელი ენობრივი თავისებურებანი ყველაზე ხელშესახებად ხომ ლექსიკაში ჰპოვებს გამოძახილს. ისიც ცნობილია, რომ ენაში მეტ ცვლილებებს ლექსიკური ფონდი განიცდის, ნაკლებად კი ენის გრამატიკული სტრუქტურა. საზოგადოებრივ, სოციალურ-გეოგრაფიულ ცვლილებებთან ერთად, იცვლება ლექსიკური ფონდიც, რაც ამ ცვლილებების პირდაპირი ამსახველია.

საშური საქმეა კონკრეტული ტერიტორიული დიალექტის ლექსიკური ერთეულების ფიქსაცია და კვლევა, ვინაიდან, დროთა სვლა, თაობათა ცვლა ყოველთვის ტოვებს გარკვეულ კვალს ენასა თუ დიალექტზე და, საშურია მით უფრო მაშინ, როცა კონკრეტული დიალექტი უცხო ენობრივ გარემოშია მოქცეული და დიდია ასიმილაციის საფრთხე.

ჩვენი კვლევის ობიექტს აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი პონტოური ლექსიკა წარმოადგენს, ვინაიდან, ბერძენთა ხანგრძლივი მიგრაციები, უცხო ენებთან კონტაქტები, კულტურათა შეხვედრები გარკვეულ კვალს ტოვებს მათ ყოფა-ცხოვრებასა თუ ენაზე, რაც აისახება ლექსიკაში.

ამ გარემოებების გათვალისწინებით, საინტერესოა, ერთი კუთხის მეტყველება რამდენად ინარჩუნებს საკუთრივ დიალექტისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს, სად ჩნდება ცვლილებები და როგორია ცვლილებათა ტრანსფორმირების სახეები.

ლექსიკათა ურთიერთმიმართების საკითხი გვანტერესებს იმ მიზნით, თუ რამდენადაა დაშორებული აჭარის შავიზღვისპირეთის ბერძენთა მეტყველება მშობლიურ დიალექტს, საკუთრივ პონტოურს და დროთა სვლა რამდენად ახდენს გავლენას ლექსიკაზე, რაც, თავის მხრივ, ერთი კუთხის მეტყველების ცალკე კილოკავად, ცალკე თქმად ფორმირება/არ ფორმირების მნიშვნელოვან საფუძველს იძლევა.

საანალიზო მასალის კლასიფიკაციისთვის რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ, კერძოდ:

1. საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში უცხო ენათა ნასესხობები ცვლის, როგორიცაა, γά[sh] (ყაიშ) - ქამარი, [sh]αφβά (შარვალ) - შარვალი და სხვა.

2. დასტურდება ფონეტიკურ/ფონოლოგიური სახის ცვლილებები, როგორიცაა - βρεσθ (ვრესი) - βρε[sh]ήν (ვრეშინ) - წვიმა, κορμπυლი (კორომილი) - κοκίμελον (კოკიმელონ) - ტყემალი..

3. საკუთრივ პონტოური დიალექტისა და აჭარის პონტოელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი ლექსიკა იდენტურია, როგორიცაა εκικά (ეკიკა) – εκικά (ეკიკა) - იქ..

4. ცალკე ჯგუფად განვიხილავთ საქართველოში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველების წლების წინ ჩაწერილი ნიმუშებისა და დღევანდელი ლექსიკის პარადიგმას, რაც დროთა სვლით გამოწვეული ცვლილებების ამსახველია.

5. წარმოვადგენთ თავისებურ ლექსიკურ ერთეულებს, რომლებიც აჭარის პონტოელთა კუთვნილებად ქცეულა, როგორიცაა ჩალა სემონ - ჩალის ზვინი და მისთ.

საკვანძო სიტყვები: პონტოური დიალექტი; პონტოელთა მეტყველება; პონტოელი ბერძნები; აჭარის პონტოური; ლინგვისტიკა.

შესავალი. ანტიკური ხანიდან მოყოლებული, ბერძენთა ერთი ნაწილი კომპაქტურად იყო დასახლებული ახლანდელი თურქეთის ერთ-ერთ მნიშვნელოვან შავიზღვისპირა რაიონში, რომელიც პონტოს სამეფოდ იწოდებოდა. აქედან წარმოდგება მათი სახელწოდებაც - პონტოელი. ტერმინები „პონტოელი ბერძნები“, „პონტოელები“ (უკავშირდება ბერძნულ სიტყვას „πόντιος“ („ზღვა“), საყოველთაოდაა გავრცელებული და სხვა ენებშიც ამ ტერმინით აღინიშნება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ მცირე აზიელ ბერძენთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობა (გიორგაძე, მგელაძე, ტუნაძე, ძნელაძე, ლორია, აბულაძე & ჩხარტიშვილი, 2017: 11), მათ დიალექტს პონტოურ დიალექტს უწოდებენ. მიგრაციის შედეგად ამ დიალექტზე მოლაპარაკენი ცხოვრობენ სხვადასხვა რეგიონებში, მათ შორის საქართველოშიც (გორდეზიანი, დარჩია & შამანიდი, 2001: 17).

აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველება არ არის ერთგვაროვანი. მასში შეინიშნება როგორც დიალექტისთვის დამახასიათებელი გრამატიკული თავისებურებები, ასევე, ენათა კონტაქტების, ენათა გავლენების კვალი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სუპერსტრატული დანაშრევები (თურქული, რუსული, ქართული ლექსიკა პონტოურში და პირიქით, ბერძენიზმები ლაზურსა თუ აჭარულში), რაც ორი განსხვავებული ეთნოსის მჭიდრო კულტურულ-ენობრივ ურთიერთობებმა მოიტანა და აირეკლა მათ ყოფასა და ენაში. თუმცა, როგორც მკვლევრები აღნიშნავენ, „აჭარაში გადმოსახლებულ ბერძნებს ყველაზე წმინდად ჰქონდათ შემონახული ბერძნული ენა და ტრადიციები. ისინი განათლებისა და კულტურის საკმაოდ მაღალი დონითაც გამოირჩეოდნენ“ (ბერძენიშვილი, გარაყანიძე, გორდეზიანი, მიქაბერიძე, ტონია, ფხაკაძე, შახპაზიდი, ჩეპიდი & ჯანაშია, 1990: 67). აქაურ ბერძნებს ენა დღესაც შენახული აქვთ და საკმაოდ კარგადაც, თუმცა მათ მეტყველებას უფრო მეტად ეტყობა ენათა კონტაქტების კვალი, თავს იჩენს კულტურათა შერევის შედეგად გაჩენილი ყოფითი ელემენტები თუ ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებები.

აღვნიშნავთ, რომ, ამჟამად, აჭარის მკვიდრმა პონტოელმა ბერძნებმა იციან პონტოური ენა, - იციან მათმა შვილებმაც, შვილიშვილების თაობა უკვე ვეღარ იგებს პონტოურ საუბარს, ნაწილს ესმის, მაგრამ ვერ ლაპარაკობს, ახალ ბერძნულ ენაზე მეტყველებს.

ამჟამად აჭარაში მცხოვრები ბერძნების ძირითადი ნაწილი ხანდაზმულია, მათი შვილები და შვილიშვილები ევროპის სხვადასხვა ქალაქში (ძირითადად სალონიკში, ნიცაში, სტავროპოლში...) ცხოვრობს და სამეტყველო ენად ელინური ბერძნული აქვთ. ყოველივე ეს კი დიალექტის ტრანსფორმირების კიდევ ერთ საფუძველს ქმნის.

ამდენად, „თანდათან იშლება და დავიწყებას ეძლევა დრომოჭმული და საუკუნეთა წიაღში შემუშავებული სიტყვები და გამოთქმები, მათ ნაცვლად მკვიდრდება და ფეხს იდგამს ახალი ყოფის ამსახველი ტერმინოლოგია“ (იხ. ძიძიგური, 1954) და როცა მსგავს ცვლილებათა ფონზე ხდება ენის არსებობის შენარჩუნება უცხო ენობრივ გარემოში სხვა ენათა გავლენების ფონზე, კიდევ უფრო საინტერესოა ამ ენის თუ დიალექტის განვითარების გზები და ინტეგრირების ფორმები.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ პონტოურისთვის უფრო მეტად თურქული ნასესხობებია დამახასიათებელი, ნაკლებად რუსული, თუმცა საქართველოში გავრცელებული პონტოურისთვის რუსული უფრო მეტია.

მართალია, რუსული ნასესხობები ბევრია და ეს განაპირობა რუსულმა განათლებამ, თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში

არანაკლებ დასტურდება თურქული ნასესხობები, რის გავრცელებასაც ხელი შეუწყო აჭარულმა დიალექტმა, რომლისთვისაც არ არის უცხო თურქიზმები და შესაძლოა ამ გზით პონტოურშიც გავრცელდა, საკმაოდ ბევრია ქართული ნასესხობებიც, რაც, ბუნებრივია აისახა ლექსიკაში. აღნიშნავენ კიდევ: „სამი ენის ოჯახია აქ, დედა რუსი მყავს, მამა ბერძენი და რძალი ქართველია. აი ბაღნები სამი ჯიშისაა, ჩემი ბადიშები” (პავლე მავროპულო (დაგვა)).

ჩანს, პონტოურისთვის არაბუნებრივი ლექსიკური ერთეულები უკვე გამხდარა ამ დიალექტის კუთვნილება, დამკვიდრებულია მეტყველებაში, შესაბამისად, აქაურთა პონტოური ლექსიკის კვლევა, უდავოდ მნიშვნელოვანია.

ჩვენი ინტერესის სფეროც სწორედ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური მეტყველებაა. შევეცადეთ, აქაურთა ლექსიკა შეგვედარებინა საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკური ფონდისთვის, ვინაიდან „კუთხური მეტყველების პროფილი, უპირველეს ყოვლისა, ასახვას პოულობს იმ მრავალფეროვან და თავისებურ სიტყვიერ ფონდში, რის მიხედვითაც ერთი კილო განსხვავდება როგორც ლიტერატურული ენისგან, ისე სხვა დიალექტებისგან“ (ნიჟარაძე, 1971: 5).

საანალიზოდ ვიყენებთ ჩვენ მიერ უშუალო დაკვირვების გზით შეგროვებულ, ჩაწერილ ემპირიულ მასალას იმ ფორმით, რა ფორმითაც აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეხსიერებას შემორჩა და რა სახითაც დღემდე მოიტანეს. შესადარებლად ვიყენებთ ჩვენ ხელთ არსებულ საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკონებს (Τσιουσιριδη, 1978; Μιλτιάδης, 2014; ποιντακο Λεξικο, 2011), და კომპლექსურ მონოგრაფიაში „ბერძენები საქართველოში“ წარმოდგენილ ლექსიკურ ფონდს, რომელიც ბერძენი მეცნიერის, ესტატე ლაზარევის ხელნაწერებს მიუკუთვნება.

აღსანიშნავია, რომ არსებობს მონოგრაფიები, ცალკეული გამოკვლევები პონტოელ ბერძენთა შესახებ, თუმცა უშუალოდ აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა შესახებ ლინგვისტური კვლევები ნაკლებია, ამ მიმართულებით საკითხის შესწავლა წარმოადგენს ჩვენი ინტერესის სფეროს.

პონტოელ ბერძენთა ისტორიის, კულტურისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ, მათი დიალექტის ენობრივი საკითხების შესწავლის კუთხით, მნიშვნელოვანია კომპლექსური მონოგრაფია „ბერძენები საქართველოში“ (იხ. ბერძენიშვილი, გარაყანიძე, გორდეზიანი, მიქაბერიძე, ტონია, ფხაკაძე, შახპაზიდი, ჩეპიდი & ჯანაშია, 1990), რომელსაც პონტოელ ბერძენთა ცხოვრების შესახებ დაინტერესებული მკვლევარი გვერდს ვერ აუვლის. აღნიშნული მონოგრაფია ეყრდნობა ესტატე ლაზარევის ხელნაწერებს, რომელიც წარმოშობით ბერძენი იყო და ძალიან დიდია მისი დამსახურება ამ სფეროში. ბერძნული ისტორიისა თუ ცივილიზაციის კვლევის საკითხში, ასევე, მნიშვნელოვანია რისმაგ გორდეზიანის დამსახურება (იხ. გორდეზიანი, 2007; გორდეზიანი, დარჩია & შამანიდი, 2001), ბოლო პერიოდის საყურადღებო კვლევები პონტოელ ბერძენთა შესახებ ეკუთვნის სვეტლანა ბერიკაშვილს (იხ. Berikashvili, 2016; Berikashvili, 2017). აღსანიშნავია რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფარგლებში გამოცემული კომპლექსური მონოგრაფია „პონტოელი ბერძენები აჭარაში-წარსული და თანამედროვეობა“ (გიორგაძე, მგელაძე, ტუნაძე, ძნელაძე, ლორია, აბულაძე & ჩხარტიშვილი, 2017), რომელიც მოიცავს აჭარის მკვიდრ პონტოელ ბერძენთა შესახებ არსებული ბიბლიოგრაფიული ცნობებისა თუ საარქივო ფონდებში დაცული მასალების შესახებ ინფორმაციას, პონტოელთა ენის, ყოფისა თუ კულტურის შესახებ კვლევებს, ჩვენი მასალებიც აღნიშნული პროექტის ფარგლებშია მოპოვებული.

მეთოდები. ნაშრომში დასახული კვლევა ეფუძნება შემდეგ ძირითად მეთოდებს: ემპირიული მასალების მოძიების მიზნით, გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდი (უშუალოდ

ველზე), მასალის ლინგვისტური ანალიზი, აღწერის, შედარება-შეპირისპირებისა და სინთეზის მეთოდები.

შედეგი. ჩვენ მიერ მოპოვებული საანალიზო მასალის შესწავლისა და ჩვენს ხელთარსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე, გავაანალიზეთ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა პონტოური მეტყველების ნიმუშები, მათთვის დამახასიათებელი პონტოური ლექსიკური ერთეულები, რაც მათ მეხსიერებას დღემდე შემორჩა და რა ფორმითაც ჩვენამდე მოიტანეს. შევადარეთ საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკას და შევეცადეთ იმის გამოვლენას, თუ დროთა სვლა, კომპაქტური ცხოვრების წესის მიუხედავად უცხო ენათა კონტაქტები, რამდენად ახდენს გავლენას დიალექტზე, რაც მნიშვნელოვანია ენის განვითარებისა თუ ისტორიის საერთო სურათის საჩვენებლად.

მსჯელობა. აჭარაში მცხოვრებ პონტოელთა მეტყველებაზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ მათ საკმაოდ კარგად აქვთ შემონახული ენა, ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ დღემდე პონტოურ დიალექტს იყენებენ, თუმცა მათთვის დამახასიათებელი ლექსიკის საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკასთან მიმართებით შეინიშნება გარკვეული ცვლილებები, საანალიზოდ რამდენიმე ჯგუფს გამოვყოფთ:

1. უცხოენოზრივი ნასესხობები:

ა. საკუთრივ პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში რუსული ნასესხობები ცვლის:

πορτοφολ – (პორტოფოლ) (საკ.პონტ.) – **κα[sh]ιλόκ** (კაშილოკ) (**γομάτον κα[sh]ιλόκ** – **სავსე საფულე**) (აჭარ. პონტ.) – საფულე.

ბ. პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში თურქული ნასესხობები ცვლის:

ჯანაპ თო (ზონარ ტო ტო) (საკ.პონტ.) – **γάν[sh]** (ყაიშ) (აჭარ. პონტ.) – ქამარი.

დანიშნული, საქმრო/საცოლე აჭარის პონტოურში გამოითქმის **vous[sh]αλός** (ნუშალო), ამავე სემანტიკის სიტყვა საკუთრივ პონტოურში ახალი ბერძნულია და გამოითქმის – **σημαδεα**.

გ. პონტოური დიალექტის ლექსიკას აჭარის პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში ქართული ნასესხობები ცვლის:

παντελόν το (პანდელონ) (საკ. პონტ.) – **[sh]αφβάλ** (აჭარ. პონტ.) – შარვალი.

μαντήλ (მანდილ)(საკ. პონტ.) – **κα[sh]κίν** (კაშკინ) (აჭარ. პონტ.) – თავსაფარი.

2. ფონეტიკური/ფონოლოგიური სახის ცვლილებები:

აჭარის შავიზღვისპირეთის პონტოელ ბერძენთა მეტყველება საკუთრივ პონტოურთან მიმართებით ფონეტიკურ თუ ფონოლოგიურ ცვლილებას განიცდის:

σ>sh – **βρεστή** (საკ.პონტ.) – **βρε[sh]ήν** (აჭარ. პონტ.) – **βροχη** (ახ. ბერძ.) – წვიმა;

σινί (საკ. პონტ.) – **[sh]ιονί** (აჭარ. პონტ.) – **χιονί** (ახ. ბერძ.) – თოვს;

μασέρ (საკ.პონტ.) – **μα[sh]αίρ** (აჭარ. პონტ.) – **μαχαίρι** (ახ. ბერძ.) – დანა;

βρασός (საკ.პონტ.) – **βρα[sh]ιός** (აჭარ. პონტ.) – **βραχιόλι** (ახ. ბერძ.) – სამაჯური;

κοσκίν (საკ. პონტ.) – **κο[sh]κίν** (აჭარ. პონტ.) – **η σήτα** (ახ. ბერძ.);

χ>sh – **χέρ** (საკ. პონტ.) – **[sh]έρι** (აჭარ. პონტ.) – **το χέρι, το χέριον** (ახ. ბერძ.) – მკლავი;

Νύχι/νίης (საკ. პონტ.) – **ν[sh]α, ν[sh]ι** (აჭარ. პონტ.) – **ονύχι, το όνυχα** (ახ. ბერძ.) – ფრჩხილი.

σπήθια (საკ. პონტ.) – **τσιτσία** (აჭარ. პონტ.) – **ο σπήθιος/το σπήθι** (ახ. ბერძ.) – მკერდი (ქალის);

κορόμηλο (საკ. პონტ.) – κοκίμελον (აჭარ. პონტ.) – ტყემალი;
 εξω, οξούκα (საკ. პონტ.) – οκ[sh]ούκα (აჭარ. პონტ.) – ეჯა (ახ. ბერძ.);
 ζακέτο (საკ. პონტ.) – ζακέτ (აჭარ. პონტ.) – ჟაკეტი;
 ρασχίν (საკ. პონტ.) – ρά[sh]α (აჭარ. პონტ.) – η ράχη, η πλάτη, τα νάτα (ახ. ბერძ.) – ზურგი;
 ψιχάλα/ψιχάλισμαντο (საკ. პონტ.) – ψιλψε[sh]ήν (აჭარ. პონტ.) – ψιχαλίζει (ახ. ბერძ.) – ჟინჯლი;

3. იდენტური ლექსიკა:

აჭარის პონტოელთა მეტყველებაში დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ზუსტად ისე შემორჩენია აქაურთა მეტყველებას, როგორიც საკუთრივ პონტოური დიალექტისთვისაა დამახასიათებელი. ასეთებია:

σισμά (საკ. პონტ.) – σισμα, κοντά (აჭარ. პონტ.) – κοντά (ახ. ბერძ.) – ახლოს;
 εκικά (საკ. პონტ.) – εκικά (აჭარ. პონტ.) – εκεί (ახ. ბერძ.) – იქ;
 χαλγόν (საკ. პონტ.) (<ძვ. ბერძნული -calkon~) – χαλγόν (პარალელურად გამოიყენება καστρουλάν (რუს. кастрюля) – η κατσαρόλα (ახ. ბერძნ.) – თუჯის ქვაბი;
 κορίτσι – κορτσόπον (საკ. პონტ.) – κορίτς, κορτσόπον (აჭარ. პონტ.) – το κορίτσι (ახ. ბერძ.) – გოგო;
 αδερφοπαίδ (საკ. პონტ.) – αδερφοπαίδ (აჭარ. პონტ.) – ο ξάδελφος/η ξαδέλφη (ახ. ბერძ.) – ბიძაშვილი, მამიდაშვილი, დეიდაშვილი;
 πούχια (საკ. პონტ.) – πούχια (აჭარ. პონტ.) – το μυστάκι (ახ. ბერძ.) – ულვაშები;
 κατσαπράν (საკ. პონტ.) – κατσαπράνια (აჭარ. პონტ.) – τα κατσαφραχα, απόκριμνος, απότομος (ახ. ბერძ.) – ციცაბო;
 κουκουβάκας (საკ. პონტ.) – κουκουβάκας (აჭარ. პონტ.) – το μανιτάρι (ახ. ბერძ.) – სოკო;

4. ესტატე ლაზარევის მასალებისა და დღევანდელი ლექსიკის პარადიგმა

შედარების მიზნით ცალკე წარმოვადგენთ ლაზარევის ხელნაწერების საფუძველზე წარმოდგენილი წლების წინ ჩაწერილი ლექსიკისა და დღევანდელი, ჩვენ მიერ დაფიქსირებული, ლექსიკის პარადიგმას, სადაც ნათლად ვლინდება ლექსიკურ ერთეულთა სახეცვლილებანი, დროის სვლა რამდენად ახდენს გავლენას ცოცხალ მეტყველებაზე.

ა. შესადარებელი მასალების მიხედვით დასტურდება ლექსიკური ერთეულები, რომლებიც **იდენტურია**, არ განუცდია ცვლილება, კერძოდ:

ზმნური ერთეული **ვგზავნი** – „სტილო“ (ლაზარევთან), „ა სტილო“ – აჭარის პონტოურში;

ზმნა **ვეკითხები** – „ო როტო“ (ლაზარევთან), „როტო“ – აჭარის პონტოურში;

ქვრივი კაცი ლაზარევის მასალებშიც და აჭარის პონტოურშიც ფიქსირდება – „შოროს“, ხოლო „შორა“ – ქვრივი ქალი.

ზმნიზედა **ახლოს** ლაზარევის მასალების მიხედვითაც და აჭარის პონტოელთა მეტყველებაშიც გამოითქმის „სუმა“;

საბმელი, სათივე აჭარის პონტოურშიც და ლაზარევის მასალებშიც დასტურდება „აშორონ“ ფორმით.

ხბო შესადარებელ მასალებში ფიქსირდება „მუსკარ“.

ძროხა შესადარებელ მასალებში დასტურდება – „ხტინონ“.

თოკი შესადარებელ მასალებში – „შეინინ“.

ზამთარი შესადარებელ მასალებში ფიქსირდება „შიმონგოს“.

ირემი – „ელაფ“ ფორმით.

მზითვევი - „პრიკა“ ფორმით.

ზმნა - ვარეფ, ვაგროვებ შესადარებელ მასალებში ფიქსირდება „სერეფო“.

ბ. გარკვეულ ლექსიკურ ერთეულებს ფონეტიკური თუ ფონოლოგიური სახის ცვლილება განუცდია, კერძოდ:

წამწამი ლაზარევის მასალების მიხედვით გამოითქმის „მატოცაცა“, აჭარის პონტოელთა მეტყველებაში ფიქსირდება „მატოჩაჩა“.

ზმნა ვყოფ, ვანაწილებ - „მირაზო“ (ლაზარევიან), „მირიაზო“ - აჭარის პონტოელთა მეტყველებაში.

ზმნა ვბერტყავ - „თინაზო“ (ლაზარევიან), „ტინიაზო“ - აჭარის პონტოელთა მეტყველებაში.

მღვდელი - ლაზარევიან ფიქსირდება „პოპას“, ხოლო აჭარის პონტოელთა მეტყველებაში „პაპას“, „პოპას“.

სიყვარული - ეღაპ (ლაზარევიან), ალაპი - აჭარის პონტოურში.

მერცხალი - ლაზარევის მასალებში არის „შელიზონ“, „ხილაღონ“, ხოლო აჭარის პონტოურში „შელიღონ“.

დღესასწაული - ეორტი<ძე. ჰეორტე (ლაზარ.), „იორტი“ - აჭარის პონტოურში.

აკვნის რწევას აჭარის პონტოურში ეძახიან „კუნინ“, ლაზარევის მასალებში ფიქსირდება „კუნიღმან“.

ძილი - „იპნოს“ (ლაზარ.), „კიმასე“ - აჭარის პონტოურში.

ურო, ჩაქუჩი „სფურინ“ (ლაზარ.), „სვირიზა“ - აჭარის პონტოურში.

სიმინდი ლაზარევიან ფიქსირდება „კალაპუკ“, ხოლო აჭარის პონტოურში გამოითქმის „ცუპად / როკა“.

ჩანჩქერი - „ჩორჩულა“ (ლაზარ.), „კატარებტის“ (აჭარ. პონტ.).

ნისლი - „ცინხა“ (ლაზარ.), „ზატმენი/სკოტინევი“ (აჭარ. პონტ.).

ხუჭუჭა - „ცინკალიდაროს“ (ლაზარ.), „კაცარა“ (აჭარ. პონტ.).

ჩქმეტა - „ეცუემულმა“ (ლაზარ.), „მარმულიღმან“ (აჭარის. პონტ.).

გუთან - „ალეტრონ / კუთან“ (ლაზარ.), „გუთან“ (აჭარის პონტ.).

ბაყაყი - ფორთაყა (ლაზარევიან), „ფვროსაკა“ - აჭარის პონტოურში.

სადირკველი - ტემელია-თამაღ<ძე. (ლაზარევიან), ფუნდამენტ (აჭარის პონტოურში).

შრომისმოყვარე - აღრატკოს<ძე (ლაზარევიან), აჭარის პონტოურში - კამატეროს.

ზმნა ვიწრო, თხელი - ლაზარევის მასალებში გვხვდება „ლეღნოს“, ხოლო აჭარის პონტოურში „სტენონ“ ფორმით.

მდინარე - პუტამ (ლაზარ.), „პოტამი“ (აჭარის პონტ.).

გაუთოება - „სიდერემან“ (ლაზარ.), „სიზერონო“ (აჭარ. პონტ.).

ყრუ - „კუფოს<კოფოს“ (ლაზარ.), „კოფი“ (აჭარ. პონტ.).

ემშაკი, სატანა - „დგვოლოს“, (ლაზარ.), „დიავოლოს“ (აჭარ. პონტ.).

დაპობა, ვაპობ შეშას - „შეიზო<სხიძო“ (ლაზარ.), „აკოფსა ქსილა“ (აჭარ. პონტ.).

ჩრდილი - „შკია<ძე. სკია“ (ლაზარ.), „სერინ“ (აჭარ. პონტ.).

საუბარი - „კალაჩი/კალაჩემან“ (ლაზარ.), „კალაჩევომე“ (აჭარ. პონტ.).

ვუყვირი „ჩაიზო“ (ლაზარ.), „ჩაიტაზენა“ (აჭარ. პონტ.).

ზღარბი - „ჩირახანტოს“ (ლაზარ.), „შირახანდოს“ (აჭარ. პონტ.).

ბავშვის ტირილს აჭარის პონტოურში ეძახიან „მუნგრისმან/ტო მორონ კლეი“, ხოლო ლაზარევის მასალებში დასტურდება „მუნგრისმან“.

ვიჭვრიტები - „ჭიტიზო“, (ლაზარ.) „ჩიტიზო“ (აჭარ. პონტ.).

მეჭეჭი „კუტა“ (ლაზარ.), „კუწა“ (აჭარ. პონტ.).

ნაკვერჩხალი - „წილილ“ (ლაზარ.), „ცილიზია“ (აჭარ. პონტ.).

შიშველი - „წაწალოს“ (ლაზარ.), „ცაცალოს“ (აჭარის პონტ.).
 მტრედი - „პელისტერ“ (ლაზარ.), „პერისტერ“ (აჭარის პონტ.).
 ადამიანი - „ართოპოს / ათროპოს“ (ლაზარ.), „(ნ)თროპოს“ (აჭარ. პონტ.).
 ძმა - „ადეფლოს / ალფოს“ (ლაზარ.), „ადელფონ / კარტაშ“ (აჭარ. პონტ.).
 ხუთი - პენდე საანალიზო მასალებში დასტურდება „პენდე“.
 ხუთასი - „პენდაკომა“ (ლაზარ.), „პენდაკომა/პენდაკოსია“ (აჭარ. პონტ.).
 ძალი - „შვილინ“ (ლაზარ.), „შვილოს“ (აჭარ. პონტ.).
 აქლემი - „კამელ“ (ლაზარ.), „ქამელ“ (აჭარის პონტ.).
 აქ - „ადა“ (ლაზარ.), „ადაკა“ აჭარ. პონტ.).
 იქ - „ეკი“ (ლაზარ.), „ეკიკა“ (აჭარ. პონტ.).
 ყუთი - „აშიკ“ (ლაზარ.), „კუტინ“ (აჭარის პონტ.).
 ვედრო - „ი ვედრა“ (ლაზარ.), „ვედრან“ (აჭარ. პონტ.).

5. თავისებური ლექსიკა

გარდა ამისა, პონტოელ ბერძენთა მეტყველებაში დავაფიქსირეთ ისეთი ლექსემები, რომლებიც აშკარაა, რომ აქაურთა კუთვნილებაა:

ტა ხუტუმა - ქუნჩალი.
 ტა როკას ტა ძალია - სიმინდის თმა.
 ექსო - გარეთა ბიძაშვილს ეძახიან.
 ჩალა - ჩალა.
 ხორტარი სემონ - ბალახის ზვინი.
 ჩალა სემონ - ჩალის ზვინი.
 ქინძი - ქინძა.
 ნიახური - ნიახურა.
 კლიონკა - მაგიდის საფარი.
 სტოლი ჩარჩაფ - მაგიდის გადასაფარებელი (ნაჭრის).

დასკვნა. მასალები ცხადყოფს, რომ აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველება ავლენს განსხვავებას საკუთრივ პონტოურ დიალექტთან მიმართებით. ჩანს, აჭარელ ბერძენთა პონტოური ბევრ ლექსიკურ ერთეულს საკუთარ ყალიბში აქცევს, რითაც თავისებურ იერს სძენს მას, რაც განასხვავებს საქართველოში მცხოვრებ პონტოელთა ბერძნულს საკუთრივ პონტოური დიალექტისგან, ეს უკანასკნელი კი აჭარაში მცხოვრებ პონტოელ ბერძენთა მეტყველების ცალკე კილოკავად ფორმირების საფუძველს ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერძენიშვილი, ლ., გარაყანიძე, ი., გორდეზიანი, რ., მიქაბერიძე, ა., ტონია, ნ., ფხაკაძე, მ., შახპაზიძე, მ., ჩეპიძე, ა., & ჯანაშია, ნ. (1990). *ბერძნები საქართველოში*. თბილისი: გამომცემლობა „თბილისის უნივერსიტეტი“.

ბერძნულ-ქართული განმარტებითი ლექსიკონი. *Ελληνο-Γεωργιανο λεξικό*. (2005). რედაქტორი ლელა ხოჭოლავა. თბილისი.

გიორგაძე, მ., მგელაძე, ნ., ტუნაძე, თ., ძნელაძე, ნ., ლორია, მ., აბულაძე, თ., & ჩხარტიშვილი, ს. (2017). *პონტოელი ბერძნები აჭარაში - წარსული და თანამედროვეობა*. ბათუმი: გამომცემლობა „ემ ჯი ემ“.

გორდეზიანი, რ. (2007)ა. *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები*. ტ. II. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.

გორდეზიანი, რ. (2007)ბ. *მედიტერანულ-ქართველური მიმართებები*. ტ. III. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.

- გორდეზიანი, რ., დარჩია, ი., & შამანიდი, ს. (2001). *ძველი და ახალი ბერძნული შედარებითი გრამატიკა*. თბილისი: გამომცემლობა „ლოგოსი“.
- ნიჟარაძე, შ. (1971). *ქართული ენის აჭარული დიალექტი*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“.
- მიდიგური, შ. (1954). *ძიებანი ქართული დიალექტოლოგიიდან*. თბილისი: გამომცემლობა „სამეცნიერო მეთოდური კაბინეტი“.
- Berikishvili, S. (2016). Morphological integration of Russian and Turkish nouns in Pontic Greek. Language Typology and Universals. *Stuf-Sprachtypologie und Universalienforschung*. Vol. 69. ISSUE 2.
- Berikashvili, S. (2017). *Morphological aspects of Pontic Greek spoken in Georgia*, (Hardbound). Languages of the World 54. 168 pp.
- Κηρυκοπουλος, Μ. Ι. (2014). *Λεξικο της ποντιακης διαλεκτου*. Αθηνα. εκδ. „Graphicart“.
- Τεγοπουλος, Φ. (1998). *Ελληνικο Λεξικο, ορθογραφικο ερμηνευτικο ετυμολογικο συνωνυμων αντιθετων κυριων ονοματων*. Τεσσαλονικι. εκδ „ελευθεροτυπια“.
- Τσοπουριδη, Θ. (1978). *Ελληνοποντιακο Λεξικο*. Θεσσαλονικη.

REFERENCES

- berdzenishvili, l., garaqanidze, i., gordeziani, r., mikaberidze, a., t'onia, n., pkhak'adze, m., shakhp'azidi, m., chep'idi, a., & janashia, n. (1990). *berdznebi sakartveloshi [Greeks in Georgia]*. Tbilisi: Publishing House „Tbilisis Universiteti“.
- berdznul-kartuli ganmart'ebiti leksik'oni. Ellhno-Gewrgiano lexiko [Greek-georgian explanatori dictionary]*. (2005). Editor: Lela Khocholava. Tbilisi.
- giorgadze, m., mgeladze, n., t'unadze, t., dzneldze, n., loria, m., abuladze, t., & chkhart'ishvili, s. (2017). *p'ont'oeli berdznebi ach'arashi - ts'arsuli da tanamedroveoba [Pontic Greeks in Ajara Past and present]*. Batumi: Publishing House „Em ji em“.
- gordeziani, r. (2007)a. *medit'cranul-kartveluri mimartebebi [Mediterranean-georgian realations]*. Vol. II. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- gordeziani, r. (2007)b. *medit'cranul-kartveluri mimartebebi [Mediterranean-georgian realations]*. Vol. III. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- gordeziani, r., darchia, i., & shamanidi, s. (2001). *dzveli da akhali berdznuli shedarebiti gramat'ik'a [Old and new Greek comparative grammar]*. Tbilisi: Publishing House „Logosi“.
- nizharadze, sh. (1971). *kartuli enis ach'aruli dialekt'i [The Adjarian dialect of Georgian language]*. Tbilisi: Publishing House „Sabchota Achara“.
- dzidziguri, sh. (1954). *dziebani kartuli dialekt'ologiidan [Researches from Georgian Dialectology]*. Tbilisi: Publishing House „Sametsniero metoduri kabineti“.
- Berikishvili, S. (2016). Morphological integration of Russian and Turkish nouns in Pontic Greek. Language Typology and Universals. *Stuf-Sprachtypologie und Universalienforschung*. Vol. 69. ISSUE 2.
- Berikashvili, S. (2017). *Morphological aspects of Pontic Greek spoken in Georgia*, (Hardbound). Languages of the World 54. 168 pp.
- Khpykopoyloc, M. I. (2014). *Lexiko thc pontiakhc dialektoy [Dictionary of pontiak dialect]*. Athens: „Graphicart“.
- Tegopoyloc, F. (1998). *Ellhniko Lexiko, orthografiko ermhneytiko etymologiko synwnymwn antithetwn kyriwn onomatwn [Greek dictionary, spelng interpretation, etymology of synonyms of opposite main names]*. Thessaloniki: „Eleytherotypia“.
- Tsopoyridh, Th. (1978). *Ellhnopontiako Lexiko [Greekpontiack dictionary]*. Thessaloniki.